

მკითხველთა ყურადღების დაქვეითებითა და ინტელექტუალური გულგრილობითაა განპირობებული, მხოლოდ გულისმომკვლელ, მწარე ლიმილს გამოიწვევს...

და მაინც, რამდენადაც მცოდნეთა და დამფასებელთათვის სიხარულის მომგვრელია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის განახლებული რედაქციის გამოცემის დაწყების ცნობა, იმდენად უფრო მძაფრია გულდაწყვეტა, რადგან ათწლეულები ათწლეულებს მისდევს, მაგრამ ისევ გასამზადებელია როგორც ქართული ლექსიკონის თესაურუსი, ისე ძველი ქართული ენის, ისტორიული, ეტიმოლოგიური, დიალექტოლოგიური, ფრაზეოლოგიური, შესიტყვებათა, სინონიმთა, ანტონიმთა, ომონიმთა, პარონიმთა, ჟარგონისა თუ არგოს ფუნდამენტური ლექსიკონები.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ პირველი ტომის გამოსვლა ქართული ფილოლოგიის დიდი წარმატება და მონაპოვარია, მაგრამ მით უმეტესი, ძნელად შესაფასებელი ღირებულება — როგორც აკადემიური, ისე კულტურული და ზნეობრივი ღირებულება — ექნება რვატომეულის გასრულებას: XXI საუკუნის დასაწყისის ქართული ენის ლექსიკური მარაგით დატვირთულ ხომალდთა რიგის ნავსადგურში დროულად მიუვანასა და დაბინავებას.

## დამოწმებანი

**ქველ 1950:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი I, თბ.: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1950.

**ქველ 1964:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი VIII, თბ.: მეცნიერება, 1964.

**ქველ 1990:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: ერთტომეული, ნაკვეთი I, თბ.: [ქართული ენციკლოპედია], 1990.

**ქველ 2007:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: ახალი რედაქცია, ტომი I, თბ.: უნივერსალი, 2007.

**ქილ 2006:** *A Comprehensive Georgian-English Dictionary, vol. I-II* (დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, ტ. I-II), London: Garnett Press, 2006.

მერაბ ლალანიძე

*Joseph Jordania. Who Asked the First Question? The Origin of Human Choral Singing, Intelligence, Language and Speech, Logos, 2006, 450 p. (იოსებ ჟორდანია. „ვინ დასვა პირველი შეკითხვა? საგუნდო მრავალხმიანობის, აზროვნების, ენისა და მეტყველების გენეზისი“, თბ., „ლოგოსი“, 2006, 450 გვ.)*

იოსებ ჟორდანიას მონოგრაფია შეისწავლის ერთ-ერთ უძველეს და უნივერსალურ ადამიანურ ქცევას, საგუნდო მრავალხმიან სიმღერას, თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს წიგნი საკითხთა გაცილებით უფრო ფართო წრეს მოიცავს, ვიდრე ეს მუსიკალური სტილების აღწერა და ანალიზი იქნებოდა. ეს ფაქტიურად არის ძალზე ფართო თვალთახედვით ჩატარებული გამოკვლევა ადამიანის ევოლუციის შესახებ. ავტორი გთავაზობს, რომ მრავალხმიან სიმღერას აქვს უშუალო კავშირი

ადამიანური ენისა და აზროვნების წარმოშობასთან. წიგნში განხილულ საკითხთა წრე უზარმაზარია და ავტორი წარმოგვიდგება როგორც არა მარტო მუსიკასთან დაკავშირებული საკითხების ღრმა მცოდნე, არამედ ანთროპოლოგიაში, ცხოველთა ქცევაში, ადამიანის ევოლუციურ ისტორიაში, მეტყველების პათოლოგიებში და კიდევ მრავალ სხვა სფეროში ღრმად გათვითცნობიერებული მეცნიერი. მართალია, წიგნის ავტორი მუშაობს მელბურნის უნივერსიტეტში, იგი წარმოშობით ქართველია და ქართული მუსიკის მსოფლიო ექსპერტია. ეს ექსპერტიზა აშკარად გლინდება წიგნის სხვადასხვა მონაკვეთებში, როდესაც ავტორი მრავალხმიანობის ისტორიული განვითარების სურათზე დაყრდნობით ცდილობს ადამიანური კომუნიკაციის ევოლუციის ზოგადი სურათის წარმოდგენას.

სანამ წიგნს უფრო დაწვრილებით განვიხილავდე, მნიშვნელოვანია, რომ მოკლე ისტორიული მიმოხილვა გავაკეთო მუსიკისცოდნეობაში შედარებითი მეთოდის გამოყენების შესახებ. მეორე მსოფლიო ომამდე გერმანიაში (ძირითადად ბერლინში) არსებობდა დარგი სახელწოდებით „შედარებითი მუსიკოლოგია“. მისი დანიშნულება იყო, შეეგროვებინა რაც შეიძლება დიდი მონაცემთა ბაზა მთელი მსოფლიოს მუსიკალური კულტურების შესახებ, და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაედგინა, თუ რა სხვადასხვა (კოგნიტიური, კულტურული, ნეიროლოგიური, ევოლუციური) ფაქტორები მონაწილეობდა ადამიანური მუსიკის წარმოშობაში. ეს დარგი ძალიან ნაყოფიერი იყო მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, მაგრამ მისი არსებობა უცერად შეწყდა მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე. შედარებითი მუსიკოლოგიის ბევრი კორიფე, რომლებიც წარმოშობით ებრაელები იყვნენ, გერმანიიდან გაიქცნენ 1930-იან წლებში და დასახლდნენ ევროპასა და ამერიკაში. იმის გამო, რომ ნაცისტების მიერ წარმოებული გენოციდური პოლიტიკა დამუარებული იყო ადამიანური ინტელექტის რასობრივი თეორიების მიხედვით შესწავლაზე, ომის შემდგომ წლებში კულტურების შედარებით შესწავლას იდეოლოგიური ტაბუ დაედო. შედარებითი მიდგომის მაგივრად დამკვიდრდა კულტურულ-ანთროპოლოგიური მიდგომა, რომლის მიხედვითაც კულტურები განიხილებოდა მხოლოდ შიგნიდან, ყოველგვარი შედარებების, ანდა ევოლუციური პერსპექტივების გარეშე. პარადიგმების ესოდენ პრინციპულ შეცვლას მოჰყვა ის, რომ თითოეული კულტურა უკვე განიხილებოდა როგორც სრულიად უნიკალური და ავტონომიური მოვლენა, რომლის შედარებაც სხვა კულტურებთან მეთოდოლოგიურად გაუმართლებელი იყო. ეს იდეა ფაქტობრივად დღემდე შემორჩენილი ეთნომუსიკოლოგიაში. სწორედ ამის გამო შეწყდა ომის შემდგომ წლებში ის კვლევითი პროგრამები, რასაც გერმანელი შედარებითი მუსიკოლოგიის მიმდევრები ომამდე ახორციელებდნენ. თავისთავად შედარებითი კვლევა ჩაითვალა არა მარტო მუსიკოლოგიის წარსულ ეტაპად, არამედ მეთოდოლოგიურად სრულიად გაუმართლებლადაც. ჩემი აზრით, ეს იყო ძალზე არამართებული და სამწუხარო შეხედულება მუსიკოლოგიისათვის ამ უაღრესად ნაყოფიერ ინტელექტუალურ პერიოდზე, რომელმაც მთელი რიგი საინტერესო აზრები შემოიტანა მუსიკისა და მუსიკალური აზროვნების კვლევის საქმეში.

ადამიანის შესწავლასთან დაკავშირებული დარგების დიდმა ნაწილმა ასევე შეითვისა კულტურების „შიგნიდან“ შესწავლის აუცილებლობა, მაგრამ ამ დარგებმა ადრევე გააცნობიერეს შედარებითი მიდგომის აუცილებლობაც. მაგალითად, შედარებითი ლინგვისტიკა უკვე ორ საუკუნეზე მეტი ხნისაა, მაგრამ დღემდე რჩება აყვავებულ დარგად, ისევე როგორც კულტურული ანთროპოლოგიის ბევრი სხვა დარგი. მიუხედავად ასეთი მაგალითებისა მომიჯნავე დარგებიდან, ეთნომუსიკოლოგია ფაქტობრივად დღემდე ვერ გასცდა შედარებითი მეთოდის სრული უარყოფის პერიოდს. სამწუხაროა, რომ ადამიანური გენომის შესწავლისა და ევოლუციური ფსიქოლოგიის კვლევის ეპოქაში ეთნომუსიკოლოგიას არ გააჩნია მუსიკის შესწავლის შედარებით

მეთოდზე აგებული არავითარი თანამედროვე კვლევითი პროგრამა. ერთადერთი დადებითი გამოწინასწარი ამ პერიოდში იყო ალან ლომაქსის მიერ 1960-იან წლებში ჩატარებული კვლევა. ლომაქსმა ჩამოაყალიბა მეთოდოლოგია, რომელსაც უწოდა „კანტომეტრიკა“. ამ კვლევითი პროექტის მიზანი იყო, შეედგინა მსოფლიოს 400 სხვადასხვა მუსიკალური კულტურის მონაცემებთან საერთო ბაზა, მოეხდინა მათი ერთიანი კომპიუტერული ანალიზი და ამ ანალიზის საფუძველზე შექმნა მსოფლიო საშემსრულებლო სტილების ზოგადი კლასიფიკაცია. ლომაქსის ნაშრომი, თავისი უაღრესად დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, მკაცრად იქნა გაკრიტიკებული ეთნომუსიკოლოგების მიერ, როგორც რედუქციონისტული, და ეთნომუსიკოლოგების დიდმა ნაწილმა მას ზურგი შეაქცია. ჩემი აზრით, ეთნომუსიკოლოგია გამოკეტულია წარსულის „ბნელ პერიოდში“, საიდანაც ის ველარ გამოდის. შედარებით მეთოდის აღდგენა აუცილებელია, თუ ეთნომუსიკოლოგიას სურს, შეუერთდეს ადამიანის კვლევის მომიჯნავე დარგებს და მათთან ერთად გამოიყენოს ის უდიდესი შესაძლებლობები, რომელთაც შედარებით მეთოდი გვთავაზობს ადამიანური კულტურისა და ისტორიის კვლევის საქმეში.

ამ ზოგადი პერპექტივიდან თუ შევხედავთ, მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ იოსებ შორდანია წიგნი არის შედარებით მუსიკოლოგიის შედევრი, დაწერილი საოცრად ფართო ერუდიციის მქონე მეცნიერის მიერ. ესაა პირველი, ჭეშმარიტად შედარებით მეთოდოლოგიაზე აგებული ნაშრომი, რომელიც გამოჩნდა ეთნომუსიკოლოგიაში ბოლო 40 წლის მანძილზე. მხოლოდ ეს რომ იყოს, წიგნი ისედაც დამსახურებულად გამოიწვევდა ფართო ინტერესს, მაგრამ შედარებით კვლევა მხოლოდ ერთი ნაწილია ამ წიგნისა. შედარებით კვლევაზე დაყრდნობით ავტორი გვთავაზობს უაღრესად მნიშვნელოვან თეორიულ მოსაზრებებს მუსიკის, ენისა და აზროვნების წარმოშობის შესახებ. მას შემდეგ, რაც იოსებ შორდანია განიხილავს, თუ მსოფლიოს რომელ რეგიონებში არსებობს მრავალხმიანი სიმღერის ტრადიცია, ის იყენებს ამ ინფორმაციას (მრავალხმიანობის გავრცელების გეოგრაფიულ სტრატეგიკაციას) იმისათვის, რომ შექმნას მსოფლიო მიგრაციების სურათი, რომელიც არა მარტო ხსნის მრავალხმიანობის თავისებური გავრცელების სურათს, არამედ ნათელს ჰფენს ენის წარმოშობის მთელ რიგ პრობლემებსაც. ჭეშმარიტი შედარებით მუსიკოლოგიის მიზნების შესაბამისად, იოსებ შორდანია მუსიკალურ მონაცემებს იყენებს იმისათვის, რომ თვალი გაადევნოს თვით კაცობრიობის გენეზისის საკითხს, რითაც თავისი წვლილი შეაქვს ადამიანის ევოლუციის შესწავლის მნიშვნელოვან საქმეში.

ამ ზოგადი შეფასების შემდეგ მსურს, განვიხილო თვით წიგნი, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის სათაურია „ტრადიციული მრავალხმიანობის მსოფლიო სტილები“, და ის შეადგენს წიგნის პირველ 175 გვერდს. ეს ნაწილი წარმოადგენს ტრადიციული მრავალხმიანი კულტურების შესახებ მთელი მსოფლიოს მასშტაბით არსებული ცოდნის თავმოყრას. როგორც უკვე აღვნიშნე, ეს არის ალან ლომაქსის შრომის მერე გამოსული ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაშრომი შედარებით მუსიკოლოგიაში, თუმცა ლომაქსის ფართო კუთხის მაგივრად იოსებ შორდანია ფოკუსირებულია მრავალხმიანი სიმღერის ფენომენზე. მრავალხმიანი ტრადიციების მიმოხილვა გეოგრაფიულად უაღრესად ფართოა და მოიცავს სუბსაჰარის აფრიკას, ჩრდილოეთ აფრიკას, ევროპას, წინა აზიას, ცენტრალურ აზიას, აღმოსავლეთ აზიას, სამხრეთ აზიას, ჩრდილოეთ ამერიკას, სამხრეთ ამერიკას და წყნარი ოკეანის კუნძულებს. მიინდა ვთქვა, რომ მე თვითონ ბევრი ახალი რამ შევიტყვე მრავალხმიანობის არსებობს შესახებ ისეთ კულტურებში, სადაც წარმოდგენაც არა მქონდა მრავალხმიანი სასიმღერო ტრადიციების არსებობის შესახებ. ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი, რომელსაც იოსებ შორდანია მიმართავს მრავალხმიანი კულტურების მიმოხილვისას, არის ის, რომ იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს

დიდი, გაბატონებული კულტურებისა და იქ მცხოვრები ნაციონალური უმცირესობების მუსიკალურ ტრადიციებს. ასე რომ, მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთისა და ჩინეთის კლასიკური მუსიკა პრინციპულად ერთხმანია, ამ ქვეყნებში მცხოვრები სხვადასხვა ნაციონალური უმცირესობების ყოფაში ვხვდებით უაღრესად საინტერესო მრავალხმიან ტრადიციებს. მაგალითად, იაპონური კლასიკური მუსიკა ერთხმანია, მაგრამ კუნძულ ჰოკაიდოზე მცხოვრები აინების მუსიკა მრავალხმიანია. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის კლასიკური მუსიკა ერთხმანია, კუნძულ ტაივანის მთებში მცხოვრები რამდენიმე ტომის (მათ შორის ტომი „ამი“-ს) სიმღერა მრავალხმიანია. ასეთი ფაქტები უაღრესად მნიშვნელოვანია და თვალების ამხელია მკვლევრებისათვის. სწორედ ასეთი, იზოლირებულ რეგიონებში გაფანტული კულტურების შესწავლა გვადლევს საშუალებას დავადგინოთ ამ რეგიონების უფრო არქაული კულტურული შრეები, რის საშუალებასაც დიდი და ფართოდ გავრცელებული კულტურების შესწავლა არ იძლევა. ასეთი მიდგომა საშუალებას აძლევს იოსებ ყორდანას, მოახდინოს მრავალხმიანობის განვითარების ისტორიული რეკონსტრუქცია, რაც წარმოდგენილია წიგნის მესამე ნაწილში, სადაც ავტორი ცდილობს აღადგინოს არქაული მრავალხმიანობის პირველადი ფორმები. შეგვიძლია შევაჯამოთ, რომ წიგნის პირველი ნაწილი არის მთელი მსოფლიოს მრავალხმიანი ტრადიციების ზოგადი და შედარებითი შესწავლა, გამოკვლევა, რომლის მსგავსიც უკვე რამოდენიმე ათეული წელია არ გამოჩენილა ეთნომუსიკოლოგიაში.

წიგნი რომ აქ დამთავრებულიყო, ის უკვე იქნებოდა დიდი წვლილი თანამედროვე ეთნომუსიკოლოგიის განვითარებაში და თავისთავად უაღრესად საინტერესო წასაკითხი ნაშრომი. მაგრამ წიგნი კიდევ უამრავი რამეს გვთავაზობს.

წიგნის მეორე ნაწილს ეწოდება „შედარებითი პერსპექტივები“, სათაური რომელიც მთლიანად ვერ წარმოაჩენს ამ 120 გვერდზე წარმოდგენილი კვლევის მთელ სპექტრს. ეს ნაწილი არის თავისებური ხიდი წიგნის პირველ ნაწილსა და მესამე ნაწილს შორის (რომელიც ადამიანიც ევოლუციას ეძღვნება). მესამე ნაწილის პირველ მონაკვეთს ეწოდება „უძველესი გუნდის ხმები: პირველადი ვოკალური მრავალხმიანობა“, რომელშიც წარმოდგენილია საინტერესო და უაღრესად რეალისტური მოდელი იმისა, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო ადამიანური საზოგადოებების პირველადი საგუნდო მრავალხმიანი სტილი. თვით მეორე ნაწილი დაყოფილია 15 „კერძო შემთხვევად“ („case study“) სადაც ძალზე განსხვავებული ხასიათისა და გეოგრაფიის კულტურები არის სათითაოდ და დაწვრილებით შესწავლილი. აქ წარმოდგენილი ავტორისეული შეხედულებები ორიგინალურია და ხშირად ეწინააღმდეგება ამ კულტურების შესახებ არსებულ შეხედულებებს. ეს „კერძო შემთხვევები“ ძირითადად ფოკუსირებულია გეოგრაფიულ იზოლაციაში მყოფ კულტურებზე, ვიდრე დიდ გაბატონებულ კულტურებზე. ეს 15 „კერძო შემთხვევა“ მოიცავს, მხოლოდ რამდენიმე რომ დავასახელო მაგალითისათვის, მრავალხმიან ტრადიციებს საქართველოდან (ხევსურეთიდან), ჩრდილო-აღმოსავლეთ ლიტვიდან, აღმოსავლეთ ავღანეთიდან, ჩრდილოეთ იაპონიიდან, ვიეტნამის მთიანი რეგიონებიდან, კუნძულ ბაჰრეინიდან, ამერიკელი ინდიელებისაგან, მელანეზიელებისაგან და პაპუა ახალი გვინეიდან. მეთოდოლოგიის საფუძველია გაბატონებული კულტურების (მაგალითად, ჩინურ ჰანის კულტურის) მიღმა რომ შევამჩნიოთ ჩრდილში მყოფი პატარა კულტურები, რომლებიც დიდი რუდუნებით ინახავენ უძველესი სასიმღერო ტრადიციის ფენებს. საოცრად საინტერესო წასაკითხია ეს ნაწილი. როცა ყველა თხუთმეტვე „კერძო შემთხვევას“ ფარდა ეხდება, მესამე ნაწილის დასაწყისში წარმოდგენილი პირვანდელი მრავალხმიანობის მოდელი არა მარტო დამაჯერებელი, არამედ აუცილებელიც ხდება. ერთადერთი ჩემი შენიშვნა ამ ნაწილისადმი არის ის, რომ მკითხველმა უნდა იცადოს მესამე თავის დაწყებამდე იმის გასარკვევად, თუ საით მივყავდით მეორე ნაწილში

განხილულ „კერძო შემთხვევებს“. ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა, პირვანდელი მრავალხმიანობის მოდელის განხილვა ყოფილიყო მეორე ნაწილის დასაწყისშივე, და ამის შემდეგ უფრო გაადვილდებოდა მკითხველის მიერ ყველა „კერძო შემთხვევის“ ისტორიულ პერსპექტივაში გააზრება.

წიგნის შესაძრ ნაწილი, ისევე როგორც მთელი წიგნი, გვიჩვენებს მეცნიერული აზროვნების საოცარ სიფართოვეს და ცოდნის სიღრმეს. თუ პირველ ნაწილში გამოჩნდა ერთი სფეროს (მსოფლიო მუსიკის) ღრმა ცოდნა, მესამე ნაწილში განხილულ საკითხთა წრე გაცილებით უფრო ფართოა. ამ ნაწილს ჰქვია „სიმღერა, შეკითხვების დასმა, აზროვნება, ლაპარაკი, ენაბუღება“, და უკვე სათაური მიგვითითებს, თუ რაოდენ ფართო იქნება ამ ნაწილში განხილულ საკითხთა წრე. მე შევეცდები, მხოლოდ მოკლედ მიმოვიხილო ამ ნაწილში განხილული რამდენიმე საკითხი, რადგან ტექსტში უამრავი სხვადასხვა კვლევითი ფენა და პრობლემაა განხილული.

უპირველეს ყოვლისა, მრავალხმიანი გუნდური სიმღერა, რომელიც გუნდში მონაწილე ხმების ფუნქციების დაყოფას ეხრდებოდა, არის წარმოდგენილი, როგორც წინაპარი იმ მოვლენისა, რომელსაც ადამიანური საუბარი ეწოდება. შესაბამისად, იოსებ ჟორდანიას გვთავაზობს აზრს, რომ მრავალხმიანი სიმღერა ევოლუციურად უფრო ადრე ჩამოყალიბდა, ვიდრე ენა და მეტყველება, უფრო მეტიც, მრავალხმიანობამ მოამზადა ენის, აზროვნებისა და მეტყველების მთელი რიგი პრინციპულად მნიშვნელოვანი ელემენტების გამოჩენა. ძირითადი არგუმენტი აქ ეხრდებოდა ადამიანებს შორის ინფორმაციის გაცვლის რევოლუციურად ახალ ტექნოლოგიას, რისი საფუძველიც გახდა შეკითხვების დასმა. ადამიანთა და მკვლევართა დიდი ნაწილისათვის ენა არის, უპირველეს ყოვლისა, თვითგამოხატვის საშუალება, მაგრამ შეკითხვის ფენომენის წინ წამოწევა ენის წარმოშობის საკითხს მტკიცედ ათავსებს ინფორმაციის გაცვლისა და ურთიერთობის სფეროში. იოსებ ჟორდანიას თვალთახედვა, რომელიც აგებულია კითხვითი ფორმების მნიშვნელობაზე ადამიანის კომუნიკაციაში, უაღრესად ორიგინალურია და მე ეს საკითხი არსად არ მინახავს განხილული, მათ შორის უზარმაზარ ლინგვისტურ ლიტერატურაში (რომელიც საერთოდ უგულვებელყოფს მუსიკას). შეკითხვების დასმა, შესაბამისად, განხილულია როგორც ადამიანური აზროვნების მოდელის საფუძველი, აზროვნებისა, რომელიც დამყარებულია ინფორმაციის ძიებასა და ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებაზე. შესაბამისად, ავტორი გვთავაზობს, რომ პირველადი საგუნდო სიმღერა იყო ევოლუციური წინაპარი ადამიანური მეტყველებისა და საუბრის სტრუქტურისა. ეს სრულელებით ახალი და დამაჯერებელი ჰიპოთეზაა. მესამე ნაწილის დანარჩენი მონაკვეთები ეთმობა ისეთ საკითხებს, როგორიცაა, მეტყველების პათოლოგიები და დაყენებულია საკითხი მეტყველებაზე გადასვლის ეპოქის შესახებ სხვადასხვა ადამიანურ პოპულაციებში.

საერთო დასკვნის სახით ვიტყვი, რომ, ჩემი ღრმა რწმენით, ეს წიგნი იმსახურებს ახალი, მასობრივი ტირაჟით გამოცემას. ესაა ბრწყინვალე ნაშრომი, და მე არც კი ვიცი მეორე ისეთი წიგნი, სადაც თუნდაც მცირედი ნაწილი იქნება განხილული იმ საკითხებისა, რასაც ეს მონუმენტური წიგნი მოიცავს. გარდა ამისა, წარმოდგენილი არგუმენტაცია ძალიან მყარია და წიგნი მეტად საინტერესოდაა დაწერილი. თავიდან ბოლომდე მთელი წიგნი სათავგადასავლო რომანივით იკითხება. დარწმუნებული ვარ რომ ამ წიგნით დაინტერესდებიან მეცნიერების სხვადასხვა დარგების წარმომადგენლები და არაა გამორიცხული, რომ განსაკუთრებით დაინტერესდნენ არამუსიკოლოგები. აქაა უამრავი ახალი მასალა სრულიად სხვადასხვა დარგის მკვლევარებისათვის.

როგორც მასაჩუსეტის ტექნოლოგიის ინსტიტუტის მიერ გამოცემული „მუსიკის წარმოშობის“ კრებულია ერთ-ერთ თანამედგენელსა და რედაქტორს, მე საოცრად მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს, ამ სფეროს უგულვებელყოფის მრავალი წლის შემდეგ გამოჩნდა ასეთი რანგის გამოკვლევა შედარებით მუსიკოლოგიაში. ეს ისეთი მასალაა, რომელიც სხვადასხვა დარგის მკვლევარებს, ფსიქოლოგიით დაწყებული და ევოლუციური ბიოლოგიით დამთავრებული, სჭირდებათ იმისათვის, რომ მოახდინონ

მუსიკალური მონაცემების ინტეგრაცია ადამიანის ევოლუციის ზოგადი სურათის ჩამოსაჯალიბებლად.

Steven Brown

საიმონ ფრეიზერის უნივერსიტეტი, კანადა

### სარედაქციო შენიშვნა

სტივენ ბრაუნი არის ამერიკელი ნეიროლოგი და მუსიკოლოგი, მუსიკის ევოლუციის საკითხების წამყვანი სპეციალისტი. მან დოქტორანტურა გაიარა ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტში, რის შემდეგაც მუშაობდა პარიზის პასტერის ინსტიტუტში, სტოკჰოლმის კაროლინკას ინსტიტუტის ბიომუსიკოლოგიის კვლევით ცენტრში, ტუხასის სან-ანტონიოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის ცენტრში და ვანკუვერის (კანადის) საიმონ ფრეიზერის უნივერსიტეტში. სტივენ ბრაუნი იყო ჩამოსული თბილისში და მოხსენებით გამოვიდა 2002 წლის ტრადიციული მრავალხმიანობის პირველ საერთაშორისო სიმპოზიუმზე.

ეს რეცენზია დაიწერა სტივენ ბრაუნის მიერ 2007 წელს სპეციალურად იმისათვის, რომ იოსებ შორდანიას წიგნი გამოცემულიყო ხელმეორედ, ევროპაში ან ამერიკაში. წიგნის მეორე გამოცემა პორტუგალიაში დაგეგმილია 2008 წლის ბოლოსათვის. ეს იქნება რეცენზიაში განხილული წიგნის ახალი, შესვებული გამოცემა, რომელსაც თან დაერთვება მსოფლიოს სხვადასხვა მრავალხმიანი კულტურების ჩანაწერები (2 კომპაქტდისკი) და მრავალხმიანობის გავრცელების რეგიონების რუკები (15 რუკა).

**ნიკოლოზ გულაბერისძე თხზულებანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნესტან სულავამ, მცხეთა, 2007, 206 გვ.**

კათალიკოსი ნიკოლოზ გულაბერისძე (XII ს-ის მეორე ნახევარი) საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწეა, რომელიც აქტიურ საეკლესიო და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას წარმატებით უთავსებდა სამწერლო-მთარგმნელობით მუშაობასაც. მას, სახელდობრ, უთარგმნია წმ. მაქსიმე აღმსარებლის მრავალი თხზულება, დოგმატიკურ-პოლემიკური და ეგზეგეტიკური შინაარსისა. ორიგინალური ნაშრომებიდან კი ჩვენამდე მოღწეულია მისი „საკითხავი სუეტისა ცხოველისად, კუართისა საუფლოისა და კათოლიკე ეკლესიისად“, რომელშიც ჩაურთავს სვეტიცხოვლის დღესასწაულისათვის განკუთვნილი საეკლესიო განგება („დასდებულნი და გალობანი სუეტისა ცხოველისანი“ და სხვ.).

სვეტიცხოვლის „საკითხავი“ და „გალობანი“ მრავალმხრივ საუქრადლებო ნაწარმოებია, რომელშიც ერთმანეთს ენაცვლება საისტორიო თხრობა, მისტიკურ-საღმრთისმეტყველო მსჯელობა და ბრწყინვალე მხატვრული ფორმით შესრულებული ქება და შესხმა. სვეტიცხოვლის სასწაულთან და საკათალიკოსო ტაძრის აგებასთან დაკავშირებული გადმოცემების ფონზე ავტორი განიხილავს ქართველი ერისათვის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ, სარწმუნოებრივ და კულტუროლოგიურ საკითხებს; ასაბუთებს ამ ერის რჩეულობასა („სახეპუროობას“) და საღმრთო დანიშნულებას; განადიდებს მისდამი ღმრთივმიმადლებულ სამ სიწმიდეს (ცხოველ სვეტს, საუფლო კუართსა და კათოლიკე ეკლესიას), რომელსაც, ერთიანობისა და განუყოფლობის ნიშნით, წმიდა სამების გამომხატველად მიიჩნევს.

სვეტიცხოვლის „საკითხავი“ და „გალობანი“ ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ გვიანდელი (XVII-XVIII სს.) ხელნაწერებით, რომლებშიც ტექსტი იმ სახით ვეღარაა შენარ-